



ვებ გვერდი

07/04/2016

სარეგისტრაციო კოდი
210020020.35.152.016256

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N11

2016 წლის 1 აპრილი

ქ. დუშეთი

„დუშეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და მისი გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 თებერვლის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი1.

1. „დუშეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და მისი გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 თებერვლის N6 დადგენილების (matsne.gov.ge, 18/02/2015, 210020020.35.152.016213) N2 დანართში „დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთი იურიდიული პირებისათვის“ შეტანილი იქნეს ცვლილება, კერძოდ N2 დანართის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

| | | | | |
|----|---|--|-------|-------|
| „7 | სტადიონები, სპორტულ- გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ღია და დახურული ტერიტორიები; მანეჟები (სატურნირო და სავარჯიშო მოედნების გარდა) ღია და დახურული ფართის 1მ ² | 5000მ ² -მდე | 0,02 | 0,01 |
| | | 5000მ ² დან-15000მ ² - მდე | 0,015 | 0,007 |
| | | 15000მ ² დან- 50000მ ² -მდე | 0,008 | 0,004 |
| | | დახურული ფართის 1მ ² | 0,08 | 0,004 |

»

მუხლი2.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი